ბრძანება:№64. 642336310
თარიღი:29/12/2023

ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2024 წლის სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.ე" და ,,ე.ვ" ქვეპუნქტების, მე-16 მუხლის და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინასებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N654 დადგენილების და ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2401 განკარგულების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. . საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2024 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ვანის მუნიციპალიტეტში პროგრამის პროცედურების განხორციელების, საპროექტო წინადადებების მიღების, საპროექტო წინადადებების შემუშავების პროცესში კონსულტირების, მოსახლეობასთან ურთიერთობისა და მათი ინფორმირების, შერჩეული პროექტების განხორციელების და შესრულების პროცესის მონიტორინგის მიზნით ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ვანის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი 2024 წლის სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ალექსანდრე გოგორიშვილი - მუნიციპალიტეტის მერი, ჯგუფის ხელმძღვანელი;

- გოჩა ჭუბაბრია - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ჯგუფის წევრი;

- ალექსანდრე ლილუაშვილი - მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ჯგუფის

წევრი;

- დავით გაბუნია - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

- მამუკა ნამიჭეიშვილი - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

- ივანე მამფორია - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ჯგუფის წევრი;

- მარინა ღვინიანიძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;
-ნინო კორძაძე მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საქმისწარმოებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. ჯგუფის წევრი.
- ავთანდილ ხელაძე - მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების უფროსი, ჯგუფის წევრი;

- მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ.სამტრედია,ძმები ნინუების ქ.,N1).

ალექსანდრე გოგორიშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი